პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 224 (5254)
1974 წ. 12 ნოემბერი, შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საინფორმაციო ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

11 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმი. პლენუმზე მიწვეული არიან პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები, წარმოების მოწინავენი და ნოვატორები, მთელი რიგი საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პრესის, რადიოს და ტელევიზიის წარმომადგენლები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ი. პუგაჩოვი.

პლენუმზე განსახილველად გამოტანილია შემდეგი საკითხები:

შემოწმებისა და კონტროლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემდგომი სრულყოფისთვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანებისა და სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისთვის ბრძოლაში თითოეული კომუნისტის, მთელი საზოგადოებრიობის აქტივობისა და პასუხისმგებლობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე.

ინფორმაცია პლენუმებს შორის განვლილ პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ა. ჩურკინი.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ე. შევარდნაძე.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

(საქინფორმი).

## მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

• •

## კარპოვი — კორჩნოი 3:1 (16 ყაიმი)

მოსკოვი, 9 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მატჩის ფინიშზე ვ. კორჩნოი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: დარჩენილ ხუთ პარტიაში უარყოფითი ანგარიშის გამოსწორება იოლი საქმე როდია. კორჩნოის რადიკალური ზომები უნდა მიეღო, რომ ბედის ჩარხი თავის სასარგებლოდ შემოებრუნებინა. ამიტომაც XX პარტიაში მან ხელი აიღო ფრანგულ დაცვაზე, რომელმაც წინა შეხვედრებში ყაიმის მეტი ვერაფერი მოუტანა, და ესპანური პარტიის მწვავე ვარიანტი გაითამაშა.

კორჩნოიმ პაიკი შესწირა, რათა მაქსიმალურად გაეაქტიურებინა თავისი ფიგურები. რათა მეტოქეს იერიშის საშუალება არ მიეღო, კარპოვმა ერთი წყვილი ეტლი გაცვალა და ცენტრალური ვერტიკალი დაიპყრო. ამ მანევრებს მისი პატარა პოზიციური უპირატესობა მოჰყვა.

დაცვის თვალსაზრისით კორჩნოიმ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა მეტოქეს თითქმის ყველა ფიგურა გაუცვალა. დაფაზე მხოლოდ ლაზიერები და თითო მხედარი დარჩა. მერე ლაზიერებიც გაიცვალა და ბრძოლა მხედრების ენდშპილში გაგრძელდა. თამაშის გათანაბრების ეს გეგმა კორჩნოის პაიკის ფასად დაუჯდა.

პარტიის გადადებისას კორჩნოის ყაიმის რეალური შანსი ჰქონდა. თამაშის განახლებისას მან შეძლო ზედმეტი პაიკის ნეიტრალიზება და შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

გთავაზობთ XX პარტიას.

### კარპოვი — კორჩნოი

#### ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 f5 5. d4 ed 6. e5 კc5 7. 0—0 მge7 8. კb3 d5 9. ed ლ:d6 10. ეe1 h6 11. მbd2 b5 12. a4 კb7 13. ab ab 14. ე:a8+ კ:a8 15. ეe6 ლd7 16. ლe2 d3 17. cd მფd8 18. მf1 ეe8 19. მg3 მd4 20. მ:d4 კ:d4 21. კe3 კ:e3 22. ლ:e3 კd5 23. კ:d5 მ:d5 24. ე:e8+ ლ:e8 25. ლd4 ლd7 26. h4 მფc8 27. მფh2 f4 28. მe2 ლf7 29. ლe4 c6 30. მd4 ლf6 31. მ:b5 ლ:h4+ 32. მფg1 ლe7 33. მd4 ლf6 34. ლf5+ ლ:f5 35. მ:f5 მb4 36. d4 მd3 37. მ:g7 მ:b2 38. მf5 მფd7 39. მ:h6 მფe6 40. მფf1 მფd5 41. მf5 მფe4 42. მe7 მფ:d4 43. მ:c6+ მფe4 44. მფe2 მc4 45. f3+ მფd5 (ჩაწერილი სვლა) 46. მb4+ მფe5 47. მc2 მფf5 48. მფd3 მe5+ 49. მფd4 მg6 50. მფd5 მh4 51. მe1 მg6, ყაიმი.

# წარმატებას ვულოცავთ!

## ნორჩი ბათუმელები ჩემპიონები არიან

ბათუმი, 11 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ). ნორჩ ფეხბურთელთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში 2 ტურის შემდეგ ბათუმის დინამოელები ლიდერობდნენ. ამიტომ დიდ ინტერესს იწვევდა 6 ნოემბერს მათი შეხვედრა მოსკოვის ოლქის „შრომითი რეზერვების" გუნდთან. პირველ ტაიმში თანაბარ ბრძოლას შედეგი არ მოჰყოლია — 0:0. შემდგომში მასპინძლები საფუძვლიანად დაეუფლნენ ინიციატივას. 57-ე წუთზე საჯარიმო დარტყმა კარგად გაითამაშეს კაჭარავამ და ხახუბიამ, შემდეგ ბურთი გადაეცა დოლიძეს, რომელმაც ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა. გავიდა 10 წუთი, ქიქავა სირაძისგან მიღებული ბურთით სწრაფად გავიდა რამდენიმე მოპირდაპირე მცველს შორის და გოლით დაამთავრა თავისი ეს რეიდი — 2:0. მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლო მარკოვმა ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 2:1.

არანაკლებ დაძაბული იყო მოსკოვის საფეხბურთო სკოლის გუნდისა და იაროსლავლის „შინიკის" ბრძოლა. მოსკოველებს რამდენიმეჯერ შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობანი, ამასთან „შინიკის" კარი ორჯერ იხსნა ძელმა. სამაგიეროდ, იაროსლავლელებმა სწრაფად გაითამაშეს ერთ-ერთი კონტრიერიში, მარლიგინმა კარგად გამოიყენა მოწინააღმდეგის მცველთა შეცდომა და გაიტანა გოლი, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ მატჩში.

IV ტურში, რომლის შეხვედრები 8 ნოემბერს გაიმართა, ბათუმის დინამოელების წინაშე ძალზე საპასუხისმგებლო ამოცანა იდგა. მოგება მათ საშუალებას აძლევდათ გათამაშების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე მოეპოვებინათ ჩემპიონთა ოქროს მედლები. და ეს ამოცანა მათ უნდა შეესრუ-

(დასასრული მე-8 გვ.).



• • •

სურათზე: ბათუმის ნორჩ დინამოელთა კოლექტივი. პირველ რიგში — ნ. კაჭარავა, ი. მამინაიშვილი, ა. სალუქვაძე, მ. მურვანიძე, ე. ნიკოლაიშვილი, ვ. დოლიძე, ს. ქიქავა, ხ. წუწუნავა, ი. ჯაფარიძე; მეორე რიგში — გ. ხახუბია, რ. ლოლობერიძე, ნ. ხაჩიძე, ზ. ჩხიკვაძე, ზ. ფალავა, ტ. ქიშმარია, ა. ვოლკოვი, ვ. ჩაზმავა, ვ. ბაუჟაძე, ვ. ბოხუა, ბ. სირაძე.

ა. ჩანტლაძის ფოტო.

## ფეხბურთის მსაჯის ცისფერი ბარათი

მსაჯმა თამაში შეწყვიტა და ცისფერი ბარათი ასწია — სპორტსმენმა მინდორი მთელი 10 წუთით დატოვა...

ამას მსგავსი ფეხბურთში ჯერჯერობით არაფერი მომხდარა, არბიტრის განკარგულებაში ამჟამად მხოლოდ ყვითელი და წითელი ბარათები გახლავთ. მაგრამ მონტეკარლოში ჭაბუკთა ტურნირის მაყურებლებს შეეძლებათ ცისფერი ბარათის ხილვაც. ეს შეჯიბრება ფიფა-ს ჩარჩოებში გაიმართება და ექსპერიმენტულის სახელს ატარებს, ვინაიდან გადაწყვეტილია შემოწმდეს ორი ახალი სავარაუდო წესი. პირველი ჰოკეიდანაა ნასესხები (10 წუთით მინდვრიდან გაძევება უხეში თამაშისთვის), მეორე წესის მიხედვით კი თამაშგარე მდგომარეობა არ ჩაითვლება საჯარიმო და თავისუფალი დარტყმების დროს.

ტურნირში, რომელიც 13-19 ნოემბერს ჩატარდება, მონაწილეობას მიიღებენ ბელგიის, ჰოლანდიის, პოლონეთის, ნორვეგიის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, გფრ-ისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები. (საკდესი).

# ტრადიციული შეხვედრა ბელგრადში

როგორც ვიუწყებოდით, ბელგრადში მიმდინარეობს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკე ვაჟთა ამხანაგური, ტრადიციული მატჩი. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში არიან, დიდოსტატები მ. ტალი, ლ. პოლუგაევსკი, ა. სუეტინი, რ. ვაგანიანი, ე. გუფელდი და ოსტატი ს. პალატნიკი. მასპინძელთა ნაკრებში თამაშობენ დიდოსტატები ს. გლიგორიჩი, ბ. ივკოვი, ლ. ლიუბოევიჩი, ა. მატანოვიჩი, მ. მატულოვიჩი და ოსტატი ვ. რაიჩევიჩი.

I ტურში გაიმარჯვეს სტუმრებმა — 4:2. II ტურში მასპინძლებმა რევანში აიღეს — 3,5:2,5. III ტურის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა — 3:3. IV ტურის მატჩიც იმავე ანგარიშით (3:3) დასრულდა. V ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა გაიმარჯვეს — 3,5:2,5. პალატნიკმა (თეთრებით) საბჭოთა გუნდს ქულა მოუტანა, როცა 38-ე სვლაზე სძლია რაიჩევიჩს. ყაიმით დასრულდა პარტიები: პოლუგაევსკი — გლიგორიჩი, ტალი — ლიუბოევიჩი, მატულოვიჩი — სუეტინი, მატანოვიჩი — გუფელდი და ივკოვი — ვაგანიანი.

ამრიგად, დაწინაურდა სსრ კავშირის გუნდი — 16:14.

# ელიან 34 ქვეყნის წარმომადგენლებს

## სპორტის საკითხებზე ევროპის კონფერენციის მოსამზადებლად

დრეზდენი. აქ დამთავრდა სპორტის საკითხებზე ევროპის II კონფერენციის მოსამზადებელი საერთაშორისო კომიტეტის სხდომა. კონფერენცია ჩატარდება გაისად, 27-30 მაისს.

როგორც პრეს-კონფერენციაზე გამოცხადდა, მომავალი ფორუმის ორგანიზატორებივარაუდობენ, რომ მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ 34 ქვეყნის სპორტული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წარმომადგენლები.

საერთაშორისო მოსამზადებელმა კომიტეტმა დაამტკიცა პროგრამა კონფერენციისა, რომლის მონაწილეებმა უნდა მოისმინონ მოხსენებები შემდეგ თემებზე: „სპორტი ხალხთა ცხოვრებაში", „სპორტი და გარემო", „სპორტი, როგორც აღზრდის საშუალება".

— გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, — აღნიშნა პრეს-კონფერენციაზე გდრ-ის გერმანული სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ გ. გაინცემ, — ყოველმხრივ ხელს შეუწყობს სპორტის საკითხებზე ევროპის II კონფერენციის მომზადებას, რომელიც გდრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მ. ზინდერმანის მზრუნველობის ქვეშ ჩატარდება.

საქდელი — ოლიმპიური რომანი

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის

# მავნე პრაქტიკის სავალალო შედეგები

**საქართველოს სპორტულ ბაზებზე დამთავრდა პროფსაბჭოს სპორტული საზოგადოებების ნაკრები გუნდების რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელიც ფაშისტურ გერმანიასთან საბჭოთა არმიის გამარჯვების 30-ე წლისთავს მიეძღვნა და მიმდინარეობდა დევიზით „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“.**

**სპარტაკიადის ძირითადი მიზანი იყო პროფკავშირულ ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის, სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადებაში ამ საზოგადოებების მიერ გაწეული საქმიანობის შემოწმება.**

**„ლელოს“ კორესპონდენტმა ო. გელაშვილმა ინახულა საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე ი. ბოჭორიძე და სთხოვა ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის ეამბნა იმის შესახებ, თუ რა გვიჩვენა სპარტაკიადამ.**

**ვაქვეყნებთ ამ ინტერვიუს.**

● **კმაყოფილი ხართ თუ არა სპარტაკიადის შედეგებით?**

— კმაყოფილი ვართ, ვინაიდან ამ შეჯიბრებამ საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადამდე რამდენიმე თვით ადრე ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირულ სპორტულ საზოგადოებებში ჩატარებული მუშაობის საფუძვლიანი შემოწმების საშუალება მოგვცა. სპარტაკიადამ ცხადყო სპორტსაზოგადოებებში საქმიანობის ერთგვარი ამაღლება, ეს დაადასტურა როგორც ცალკეულ სახეობებში, ისე საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილების განაწილებამ. შარშანდელ სპარტაკიადაში საერთო გუნდურ ჩათვლაში „განთიადის“ ნაკრებმა იმარჯვა. მაშინ „ბურევესტნიკი“ და „სპარტაკი“ მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ. ეტყობა, „ბურევესტნიკისა“ და „სპარტაკის“ რესპუბლიკურმა საბჭოებმა მაშინდელი გაკვეთილებიდან სათანადო დასკვნები გააკეთეს და წლევანდელი ასპარეზობისთვის უკეთესად მოემზადნენ. „განთიადის“ ცენტრალური საბჭო კი თვითდამშვიდებას მიეცა, წლევანდელ შეჯიბრებაში მოუმზადებელი გუნდები გამოიყვანა და სათანადოდაც დაისაჯა — 47 საჯარიმო ქულით III ადგილზე ჩამოინაცვლა. „განთიადის“ ცენტრალურ საბჭოს თავისი რესპუბლიკური სპარტაკიადა დროულად რომ ჩაეტარებინა და გუნდები უძლიერესი სპორტსმენებით დაეკომპლექტებინა, ასეთი რამ აღარ მოხდებოდა.

„ბურევესტნიკის“ ნაკრები კოლექტივი, რომელიც შარშან „განთიადს“ ქულით ჩამორჩა, წლეულს მეტოქეზე მთელი თავით მაღლა აღმოჩნდა — სტუდენტებს 29 საჯარიმო ქულა დაუგროვდათ. II ადგილზეა „სპარტაკი“ — 46 ქულა.

● **რას გვეტყვით სპარტაკიადაში სხვა სპორტსაზოგადოებათა გუნდების მონაწილეობის შესახებ?**

— წლევანდელი ტურნირის მონაწილეებს ერთი გუნდი შეემატა. როგორც ცნობილია, სპარტაკიადის სტარტამდე საკმაო ხნით ადრე „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭო უშუალოდ საქართველოს პროფსაბჭოს დაექვემდებარა. ამან საერთო გუნდურ ჩათვლაში ბრძოლა უფრო დაძაბა. „კოლმეურნის“ ნაკრებმა, რომელიც ძირითადად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებით იყო დაკომპლექტებული, 56 საჯარიმო ქულით IV ადგილი დაისაკუთრა. „კოლმეურნეს“ ცურვაში, ნიჩბოსნობასა და ხელბურთელ ქალთა ტურნირშიც რომ მიეღო მონაწილეობა, შესაძლოა უფრო მაღალი ადგილი დაეკავებინა.

კვლავ სუსტად მომზადებული ნაკრები გამოიყვანა „ვოდნიკმა“, მძლეოსნობაში, ველოსპორტში, ხამბოსა და ხელბურთელ ქალთა ასპარეზობას კი თავი საერთოდ აარიდა. „შრომით რეზერვებს“ არ ჰყავდა მესტანდლეთა, მშვილდოსანთა, ფრენბურთელ ქალთა და ხელბურთელთა კოლექტივები, ცხადია, ამ საზოგადოებებში აღნიშნული სახეობების განვითარებას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ და ბოლო ადგილებზეც ამიტომ დარჩნენ.

● **როგორი იყო შეჯიბრების ორგანიზაცია, ტექნიკური შედეგები?**

— იმ სახეობების მსაჯთა კოლეგიებს, ქალაქებისა თუ რაიონების შესაბამის ორგანიზაციებს, რომლებმაც ტურნირების მაღალ დონეზე ჩატარება უზრუნველყვეს, მადლობას მოვახსენებთ. მაგრამ ამ მხრივ ნაკლიც შეიმჩნეოდა. ფოთში ნიჩბოსანთა შეჯიბრების მოწყობა „ვოდნიკის“ რესპუბლიკურ საბჭოს მივანდეთ, მაგრამ ძალიან მოვტყუვდით: ამ საზოგადოების თავმჯდომარე ვახტანგ იორაიშვილი ფოთში შეჯიბრებაზე დასასწრებადაც კი არ ჩავიდა, რის გამოც ტურნირის მთელი სიმძიმე ბაზის დირექციასა და მსაჯთა კოლეგიას დააწვათ.

რაც შეეხება ტექნიკურ შედეგებს, დიდად ვერც ამ მხრივ მოვიწონებთ თავს. არ დამყარებულა არც ერთი რეკორდი, არ მომზადებულა არც ერთი სპორტის ოსტატი. ბევრ სახეობაში სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივიც სანატრელი იყო. განსაკუთრებით ცუდი შედეგები ჰქონდათ მძლეოსნებსა და მოცურავეებს. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში ქულის მოსაპოვებლად კი ალბათ სპორტის ოსტატის შედეგიც არ იქნება საკმარისი.

● **რა არის შეჯიბრების უხეიროდ გამართვისა და დაბალი ტექნიკური შედეგების მიზეზი?**

— რომელი ერთი დავასახელოთ! ჩვენი არბიტრები აშკარად ჩამორჩნენ მსაჯობის თანამედროვე დონეს, ვინაიდან დღეს უკვე აღარავის ახსოვს, რესპუბლიკაში მსაჯების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები უკანასკნელად როდის გაიმართა. წლევანდელ მოთხოვნათა დონეზე ვეღარც მწვრთნელთა უმეტესობა მუშაობს. ეს კი სპორტსმენთა მომზადებასაც დაეტყო.

სპორტსაზოგადოებები, მწვრთნელები ტალანტების გამოვლენისა და აღზრდისთვის ძველებურად გულმოდგინედ აღარ მუშაობენ და ფონს გასვლას იმ თითო-ოროლა სპორტსმენით ფიქრობენ, რომლებიც ჯერ კიდევ გვყავს რესპუბლიკაში. აბა რით უნდა აიხსნას ის, რომ ზოგჯერ ერთი და იმავე სპორტსმენების გვარებს ორი და მეტი გუნდის განაცხადებში ვხვდებით? მაგალითად, როგორ მოხდა, რომ დინამოელი კალათბურთელები, სპორტის ოსტატები გულდელავა და ჯანაშია „კოლმეურნის“ გუნდის განაცხადში მოხვდნენ, „კოლმეურნის“ კალათბურთელი თედოშვილი „განთიადმა“ რისთვის შეიტანა განაცხადში, ხოლო ლოკომოტიველი შკურუპი — „სპარტაკმა“? კალათბურთის მოედანზე ტანიასა და იაქაშვილის გამოყვანას „კოლმეურნეც“ აპირებდა და „ბურევესტნიკიც“. ასეთი ფაქტები სხვა სახეობებშიც გვხვდებოდა.

დასამალი როდია, რომ სპორტსაზოგადოებათა საბჭოები ზოგიერთ სახეობაში გუნდების დაკომპლექტებას არასერიოზულად მიუდგნენ. მაგალითად, „ბურევესტნიკმა“ ქართული ჭიდაობის განაცხადში 8 კაცის ნაცვლად 24 სპორტსმენის გვარები ჩაწერა, „შრომითი რეზერვების“ განაცხადები ნაჩქარევად იყო შედგენილი.

ზოგიერთ სახეობაში უხეირო შედეგების მიზეზად ისიც მიმაჩნია, რომ პროფკავშირული ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებები, მათთან მომუშავე მწვრთნელები სპორტსმენებთან სათანადო აღმზრდელობით მუშაობას არ ეწევიან, სხვა საზოგადოებათა მწვრთნელები ამ სპორტსმენების გადაბირებას ახერხებენ, რის გამოც ეს „მომთაბარენი“ თავიანთი აღმზრდელი სპორტსაზოგადოების სახელის დასაცავად აღარ ირჯებიან. მაგალითად, პროფკავშირების სპარტაკიადის დღეებში შევიტყვეთ, რომ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს სუმბაძესა და სპორტის ოსტატობის კანდიდატ კუპრაშვილს, რომლებიც „ლოკომოტივში“ დაოსტატდნენ, აგრეთვე, ბურევესტნიკელ დვალიშვილს თავიანთ საზოგადოებაში გაჩერება აღარ სურთ. სამარცხვინოა, მაგრამ ფაქტია, რომ სპორტსმენები მწვრთნელებს, სპორტსაზოგადოებების ხელმძღვანელებს თავიანთ ნება-სურვილს უკარნახებენ და ხშირად მიზანსაც აღწევენ.

● **რა ღონისძიება დასახეთ სპორტსაზოგადოებათა საქმიანობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად?**

— სპარტაკიადის შედეგებს ახლა ვაანალიზებთ და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი შემჩნეული ნაკლოვანებების გამოსწორებისთვის სათანადო დადგენილებასაც მიიღებს. ვფიქრობთ, საქართველოს პროფსაბჭო თავის გადაწყვეტილებაში განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მძლეოსნობაში, ცურვაში, ველოსპორტში გუნდებისა და სპორტსმენების დაბალ ტექნიკურ მომზადებას. „ვოდნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელთა ზემოაღნიშნული საქციელი ჩვენი სპეციალური მსჯელობის საგანი გახდება.

**„ლელოს“ ინტერვიუ**

პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებებში სპორტული მუშაობის დონის ამაღლებისთვის გატარებული ღონისძიების ერთი მაგალითია ამ საზოგადოებების ბავშვთა კომპლექსური სპორტული სკოლების გახსნა. ახლა ასეთი სკოლები აქვთ „ბურევესტნიკს“, „სპარტაკს“, „ლოკომოტივს“, „ვოდნიკს“, „განთიადს“. საქართველოს პროფსაბჭოს გადაწყვეტილი აქვს რეზერვების გამოვლენის მიზნით ამ სკოლების შეჯიბრებები ყოველწლიურად ჩაატაროს. დაისახა ღონისძიებანი სპორტული ბაზების კეთილმოწყობისთვის, მაგრამ სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციები მხარს ვერ გვიჭერენ. მაგალითად, თბილისის სპორტკომიტეტის სარემონტო-სამშენებლო კონტორა დიმიტროვის სახელობის ქარხნის სტადიონის რემონტს ორი წელია აჭიანურებს. ბათუმში ასევე ნელი ტემპით მიმდინარეობს „განთიადის“ აუზის შეკეთება, ჯერ კიდევ მთლიანად არ დამთავრებულა ფოთის „სპარტაკის“ სტადიონის რემონტი.

● **რა მოგვცა პროფკავშირების სპორტსმენთა ასპარეზობამ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში?**

— საქართველოს გუნდებში, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის ემზადებიან, 75 პროცენტს პროფკავშირელი სპორტსმენები შეადგენენ. ეს თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენს სპარტაკიადაშიც გამოდიოდა და უმეტესობამ კარგადაც იასპარეზა, მაგრამ შედეგებით კმაყოფილი მაინც არ ვართ, ვინაიდან შეჯიბრებას არც ერთი ახალი სპორტსმენი არ დაუსახელებია. მიზეზი ის გახლავთ, რომ მწვრთნელებს გუნდებში არ შეჰყავთ ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენები, რომლებსაც მხოლოდ გამოცდილების მიღება აკლიათ. უდავოა, ფიზკულტურის კოლექტივებში, რომლებსაც პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების საბჭოები უწევენ მომსახურებას, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში მთავარი ყურადღება მასობრივ ფიზკულტურას, გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს ექცევა (თუმცა კარგად საქმე არც აქ არის), სასწავლო-სპორტული მუშაობა კი მივიწყებულია. აბა სხვას რას უნდა მივაწეროთ ის მდგომარეობა, რომ წლეულს რესპუბლიკაში, მაგალითად, მძლეოსნობაში არც ერთი სპორტის ოსტატი არ მომზადებულა?

საქართველოს პროფსაბჭო, მისი ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილება სპორტსაზოგადოებათა საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესებისთვის გადამჭრელ ღონისძიებებს გაატარებს, უფრო მეტად იზრუნებს იმისთვის, რომ გუნდების, სპორტსმენების ბრძოლისუნარიანობა ამაღლდეს, სპორტული ბაზების ქსელი გაფართოვდეს.

# მარცხის მიუხედავად

სევასტოპოლში დამთავრდა აფროსანთა საკავშირო შეჯიბრება — შავი ზღვის რეგატა. როგორც ვიუწყებოდით, ამ შეჯიბრებას წინ უსწრებდა ასევე საკავშირო ასპარეზობა — „სევასტოპოლის დიდება“, რომელშიც საქართველოს აფროსნებმა გამოიჩინეს თავი.

სამწუხაროდ, შავი ზღვის რეგატაში პრიზიორთა შორის საქართველოს ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ ვიხილეთ.

— რა მოხდა, რამ შეუშალათ ხელი ჩვენი რესპუბლიკის აფროსნებს? — ამ შეკითხვით მივმართეთ საქართველოს აფროსანთა უფროს მწვრთნელს ტ. პინეგინს.

— ჩვენს წარუმატებლობას ობიექტური მიზეზები აქვს, მაგრამ ყველაზე დიდი „დამნაშავე“ ამინდია. დაიწყო თუ არა შავი ზღვის რეგატა, ძლიერი ქარიც ამოვარდა. ტყვიისფერი ღრუბლები ჩამოწვა და შხაპუნა წვიმაც წამოვიდა. შავი ზღვა კი მთლად გადაირია. მან არ დაინდო არც გამოუცდელი და არც ცნობილი სპორტსმენები — სტარტი სტარტს მისდევდა, ნავები კი ერთიმეორის მიყოლებით გამოდიოდნენ მწყობრიდან.

„470“-ის კლასში შეჯიბრების დროს ჩვენი ნავი მძლავრმა ტალღამ გადააბრუნა და სპორტსმენი დაშავდა. „ფინის“ კლასში მოასპარეზე გურამ ბიგანიშვილი პირველ დღეს ავადმყოფი გამოვიდა სტარტზე, მაგრამ შემდეგ ბრძოლა ვეღარ შეძლო. კატამარანი „ტორნადო“ სტარტზევე გაგვიფუჭდა. ახევე დაემართა დისტანციაზე „ტემპესტსა“ და ჩემს „სოლინგს“. სამწუხაროდ, დაზიანებული ნაწილები რომ გამოგვეცვალა, სათადარიგო არ გვქონდა.

ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო. ამ შეჯიბრებამ ჩვენი აფროსნების ფიზიკური მოუმზადებლობაც გამოავლინა. ჩვენს მარცხს სხვა მიზეზებიც აქვს, მაგრამ, ვფიქრობთ, მათზე ლაპარაკი აღარ ღირს, რადგან საქართველოს სპორტკომიტეტი უკვე ცდილობს ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, — გვითხრა უფროსმა მწვრთნელმა.

მართალია, ჩვენი აფროსნებისთვის სეზონის ბოლო საკავშირო შეჯიბრება უიღბლო აღმოჩნდა, მაგრამ მათ „სოვეტსკი სპორტის“ ქება მაინც დაიმსახურეს. აი, რას წერდა გაზეთი ასპარეზობის ბოლოს:

„რეგატის მონაწილეთა შორის შუა აზიისა და ამიერკავკასიის აფროსნობის ახალი ცენტრების ბევრი წარმომადგენელი იყო. იგრძნობოდა, რომ მათ სურთ კარგად მოემზადონ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალისთვის. განსაკუთრებით დამაჯერებლად დაამტკიცეს ეს საქართველოს მრბოლელებმა, რომლებსაც ოლიმპიური ჩემპიონი ტ. პინეგინი წვრთნის“...

**ა. ჭუვიშელი.**

# ახალი ამბები-74

● **კუალა-ლუმპური, 6 ნოემბერი.** მალაიზიაში საპასუხო ვიზიტით სტუმრად მყოფმა საბჭოთა ბადმინტონისტთა გუნდმა ეროვნულ სტადიონზე ამხანაგური შეხვედრა წააგო ქვეყნის ნაკრებთან — 0:7. პროგრამაში იყო ვაჟთა სამი, ქალთა ერთი, წყვილთა ორი და შერეულ წყვილთა ერთი შეხვედრა. მასპინძელთა ნაკრები მსოფლიოს არაოფიციალური პირველობის — თომასის თასის გათამაშების მრავალგზის ჩემპიონია. ტიტულიან მეტოქეებს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია მხოლოდ დნეპროპეტროვსკელმა ქ. ვაცილოვმა, რომელმაც მალაიზიის პირველ ჩოგანთან მუ ფუტ ლიანთან შეხვედრა წააგო ანგარიშით 10:15 და 13:15. მანამდე საბჭოთა სპორტსმენებმა აჯობეს ქვეყნის ერთ-ერთი შტატის ნაკრებს — 4:3.

● **მოსკოვი, 9 ნოემბერი.** დღეს აქ გაიმართა ხელბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი საავიაციო ინსტიტუტისა და ბუქარესტის „სტიაუას“ ვაჟთა გუნდები. მასპინძლები თითქმის თამაშის ბოლომდე წინ იყვნენ, მაგრამ სწორედ მატჩის მიწურულს რუმინელებმა შეძლეს გამარჯვება — 24:22 (13:14). განმეორებითი შეხვედრა 30 ნოემბერს ჩატარდება ბუქარესტში.

● **პრაღა, 10 ნოემბერი.** აქ გაიმართა ფიგურული ციგურაობის ოსტატთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება, რომელსაც „პრაღის ციგურები“ ჰქვია. კარგად იასპარეზა ახალგაზრდა მოსკოველმა სპორტსმენმა კ. კოკორამ, რომელმაც III საპრიზო ადგილი დაიკავა. გაიმარჯვა ამერიკელმა ტ. კუბიცკამ. II ადგილზეა ფ. პეხარი (ჩეხოსლოვაკია).

● **კიევი, 11 ნოემბერი.** უკრაინის დედაქალაქის „სპარტაკის“ ხელბურთელ ქალთა გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ მერვედფინალურ მატჩში ანგარიშით 21:11 (13:4) დაამარცხა სტოკჰოლმის „პოლისენს გკ“. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა 27 ნოემბერს გაიმართება შვეციის დედაქალაქში.

## ერთნაირი ანგარიშით

4:3 — ასეთი ანგარიშით დამთავრდა ევროპის ლიგის პირველობის მორიგი სამი მატჩი მაგიდის ჩოგბურთში: უნგრელებმა სძლიეს იუგოსლავიის ნაკრებს, ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა გუნდმა ფრანგები დაამარცხა, ხოლო შვედებმა ინგლისელებს აჯობეს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამივე შემთხვევაში დამარცხებულებს „მშობლიური კედლების“ ფაქტორმა ვერ უშველათ.

გათამაშებაში ლიდერობენ უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები, რომლებმაც პირველი ორ-ორი თამაში მოიგეს. სსრ კავშირის კოლექტივი, რომელსაც ერთი მოგება და ერთი წაგება აქვს, დღეს სტუმრად ჩაატარებს მატჩს ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელებთან.

## „ფოლადის“ ღია ჩემპიონატი

ჩატარდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბ „ფოლადის“ ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქიმიური კომბინატის, ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმისა და № 3 პროფტექნიკური სასწავლებლის მოჭიდავენიც.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ლ. ბალაშვილმა, ო. ჯუმპტიამ, ჯ. მათიაშვილმა, ნ. ბადალაშვილმა (ყველა — „ფოლადი“), მ. ალიევმა (ქიმიური კომბინატი), ა. ნათაძემ (ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმი), რ. გულისაშვილმა, ბ. ჯიბლაშვილმა (ორივე — № 3 პროფტექნიკური სასწავლებელი).

**რ. ბაბრიბიძე.**

რუსთავი. (ჩვენი კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

• •

სსრ კავშირის პირველობა

ჩემპიონატის ქრონიკა

10 ნოემბერს შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

„ფახთაქორი" — „დინამო" (კიევი) 3:3. ამ მატჩში კიევის დინამოელებს ქულა სჭირდებოდათ, რათა უკვე საბოლოოდ და ოფიციალურად მოეპოვებინათ სსრ კავშირის 1974 წლის ჩემპიონის წოდება. გათამაშების დამთავრებამდე 2 ტურით ადრე გუნდმა ეს ამოცანა შეასრულა და მეექვსედ მიიღო ოქროს მედლები. ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა (ხაძიპანაგისი), მაგრამ მუნტიანმა მალე გაქვითა გოლი, ხოლო ბლოხინმა და ონიშჩენკომ დააწინაურეს თავიანთი გუნდი. „ფახთაქორს" ძალების სრული მობილიზება დასჭირდა წაგებული მატჩის სახსნელად. ისაკოვისა და ვარიუხინის ზუსტი დარტყმების შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — 3:3.

ამ მატჩში გატანილი გოლის შემდეგ ბლოხინი 19 ბურთით კვლავ ლიდერობს ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა სიას.

„ჩერნომორეცი" — „არარატი" 2:1. ოდესელი ფეხბურთელები წარმატებით იბრძვიან საპრიზო ადგილის დასაკავებლად. მათთვის ამ მეტად მნიშვნელოვან მატჩში პირველი ბურთი გაიტანა პროკოპენკომ. ანგარიში გაქვითა ლაზარიანმა, მაგრამ მასპინძლებმა მაინც შეძლეს გამარჯვება. გადამწყვეტი გოლი ზუბკოვმა გაიტანა.

„ქაირათი" — „სპარტაკი" 0:4. ალმაათელებმა, რომლებიც გათამაშების ცხრილში ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან, ვერ გაუწიეს სათანადო წინააღმდეგობა სპარტაკელებს და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ. მოსკოველთაგან 2 ბურთი გაიტანა პისკარიოვმა.

„შახტიორი" — ცსკა 0:0.

„ზარია" — „ტორპედო" 0:0.

„დნეპრი" — „დინამო" (მოსკოვი) 3:1.

„კარპატი" — „ზენიტი" 1:2.

ფეხბურთის ცხა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ." (კ.) | 28 | 14 | 12 | 2 | 48—20 | 40 |
| „სპარტაკი" | 28 | 13 | 9 | 6 | 36—22 | 35 |
| „ჩერნომ." | 28 | 12 | 10 | 6 | 35—29 | 34 |
| „ტორპედო" | 29 | 12 | 7 | 10 | 33—28 | 31 |
| „დინ." (მ.) | 28 | 10 | 10 | 8 | 41—29 | 30 |
| „ფახთაქ." | 29 | 10 | 10 | 9 | 45—41 | 30 |
| „არარატი" | 28 | 9 | 10 | 9 | 33—27 | 28 |
| „შახტიორი" | 28 | 8 | 12 | 8 | 31—31 | 28 |
| „ზენიტი" | 28 | 7 | 14 | 7 | 33—40 | 28 |
| „დნეპრი" | 29 | 9 | 10 | 10 | 30—38 | 28 |
| „კარპატი" | 28 | 7 | 12 | 9 | 28—30 | 26 |
| „დინამო" (თბილისი) | 28 | 6 | 14 | 8 | 24—32 | 26 |
| ცსკა | 29 | 7 | 11 | 11 | 28—33 | 25 |
| „ზარია" | 28 | 8 | 9 | 11 | 30—38 | 25 |
| „ქაირათი" | 29 | 7 | 10 | 12 | 35—46 | 24 |
| „ნისტრუ" | 29 | 4 | 8 | 17 | 31—57 | 16 |

# 2 „ოქროს" ქულა

კიშინიოვი. რესპუბლიკური სტადიონი. 10 ნოემბერი.

„ნისტრუ" (კიშინიოვი) — „დინამო" (თბილისი) 1:3 (1:1).

„ნისტრუ": მედვედევი, ტაბაჩუკი, ტეგლეცოვი, რიბაკი, ხამონენკოვი, ფილიმონოვი (ცუცევი), ხლოპოტნოვი, კონსტანტინოვი, პიუნოვსკი, ჩებანუ (კარასი), ნადეინი.

„დინამო": გაგოშიძე, ებრალიძე, ჰელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (წერეთელი), გ. მაჩაიძე, ესებუა (გ. ნოდია).

მსაჯი ი. სერგიენკო (ხარკოვი).

მინდვრიდან გაძევებულია კ. ასათიანი.

დუბლიორები — 1:1.

კიშინიოვის „ნისტრუ" პრაქტიკულად კარგა ხანია გამოეთხოვა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების რეალურ იმედს, ვინაიდან მას ყველა დარჩენილი შეხვედრა უნდა მოეგო, მის უშუალო კონკურენტებს — ყველა წაეგოთ, რაც ფეხბურთში იშვიათად ხდება. 27-ე ტურის შემდეგ კი კიშინიოველებმა მდგომარეობის ხსნის თეორიული შანსიც დაკარგეს და გუნდს დარჩა მხოლოდ ერთი — პრესტიჟის გრძნობა, უმაღლეს ლიგასთან გამოთხოვება, თუ შეიძლება ითქვას, „მუსიკით".

მაგრამ ეს ერთობ სუსტი სტიმულია საიმისოდ, რომ მთელი თავგამოდებით ებრძოლო მეტოქეს, რომელმაც არა თეორიულად, არამედ ნამდვილად, პრაქტიკულად უნდა აიღოს ქულები გათამაშების ცხრილში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საამისო შესაძლებლობა კი თბილისის „დინამოს" ჰქონდა. საკმარისია ჩემპიონატის ფინიშზე დარჩენილი მატჩების წარმატებით ჩატარება, რომ საშიშ ზონას იგი საგრძნობლად დასცილდეს და თავიდან აიცილოს ყოველგვარი ხიფათი.

დინამოელებმა კიშინიოვში მთელი მონდომებით ითამაშეს. ისინი პირველი 15 წუთის მანძილზე ხშირად უტევდნენ, ქმნიდნენ კრიტიკულ მომენტებს და მხოლოდ კარში უზუსტო დარტყმების გამო ვერ მიაღწიეს მიზანს დასაწყისშივე. უფრო მეტიც: თბილისელები უტევდნენ, გოლი კი „ნისტრუმ" გაიტანა. ეს მოხდა 24-ე წუთზე, როცა პიუნოვსკიმ მიიღო ჩებანუს გადაცემა, ზუსტად ითამაშა თავით და — 1:0.

ამ მარცხს არ შეუწყვეტია სტუმრების იერიშები. 39-ე წუთზე ებრალიძე სწრაფად ჩაერთო შეტევაში და კარგად გადააწოდა ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ მ. მაჩაიძეს, რომელმაც თანაფარდობა აღადგინა.

61-ე წუთზე მ. მაჩაიძის დარტყმამ მეორედ მიაღწია მიზანს, ხოლო 78-ე წუთზე გუცაევის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის ი. სერგიენკომ „ნისტრუს" კარში 11-მეტრიანი საჯარიმო დანიშნა. პენალტი ზუსტად გამოიყენა ქელიძემ — 3:1.

მასპინძელთა არც ერთ ცდას, რომ ცვლილება შეეტანათ ანგარიშში, შედეგი არ მოჰყოლია. თბილისელებმა აიღეს 2 „ოქროს" ქულა და არსებითად მოსპეს სახიფათო ზონაში დარჩენის საშიშროება. შინ დარჩენილ ორ მატჩში მათ ქულაც ყოფნით, რათა მიუღწეველნი აღმოჩნდნენ თუნდაც ამჟამად ბოლოსწინა ადგილზე მყოფი „ქაირათისთვის".

რათა მკითხველთათვის ნათელი გახდეს, თუ ვის რა შანსი აქვს გათამაშების ფინიშზე, ცხრილთან ერთად ვაქვეყნებთ დარჩენილი მატჩების კალენდარს.

### ბოლოსწინა ტური

„არარატი" — „ნისტრუ"
„დინამო" თბ. — „ჩერნომორეცი"
„შახტიორი" — „ტორპედო"
„ზარია" — ცსკა
„დნეპრი" — „ზენიტი"
„ქაირათი" — „დინამო" კ.
„ფახთაქორი" — „სპარტაკი"
„კარპატი" — „დინამო" მ.

### ბოლო ტური

„არარატი" — „შახტიორი"
„სპარტაკი" — „კარპატი"
„დინამო" თბ. — „ზარია"
„ზენიტი" — „დინამო" კ.
„ჩერნომორეცი" — „დინამო" მ.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტ." | 38 | 23 | 7 | 8 | 73—33 | 53 |
| სკა | 38 | 21 | 9 | 8 | 64—35 | 51 |
| „დინამო" | 38 | 21 | 9 | 8 | 60—38 | 51 |
| „კრ. სოვეტ." | 38 | 20 | 8 | 10 | 65—41 | 48 |
| „ნეფთჩი" | 38 | 18 | 10 | 10 | 54—32 | 46 |
| „ტავრია" | 38 | 18 | 6 | 14 | 74—55 | 42 |
| „კუზბასი" | 38 | 19 | 4 | 15 | 48—50 | 42 |
| „ტორპედო" | 38 | 14 | 10 | 14 | 37—42 | 38 |
| „პამირი" | 38 | 13 | 11 | 14 | 48—48 | 37 |
| „ზვეზდა" | 38 | 13 | 11 | 14 | 54—59 | 37 |
| „შინიკი" | 38 | 11 | 14 | 13 | 50—53 | 36 |
| „სპარტაკი" (ივ.-ფრ.) | 38 | 9 | 16 | 13 | 37—39 | 34 |
| „მეტალურგი" (ზაპ.) | 38 | 11 | 12 | 15 | 42—50 | 34 |
| „სპარტაკი" (ნალ.) | 38 | 10 | 14 | 14 | 37—47 | 34 |
| „ყუბანი" | 38 | 12 | 10 | 16 | 54—67 | 34 |
| „ურალმაში" | 38 | 13 | 8 | 17 | 38—54 | 34 |
| „სპარტაკი" (ორჯ.) | 38 | 15 | 4 | 19 | 45—67 | 34 |
| „სტროიტ." | 38 | 11 | 11 | 16 | 50—52 | 33 |
| „მეტალურგი" (ლიპ.) | 38 | 8 | 9 | 21 | 30—58 | 25 |
| „ტექსტ." | 38 | 5 | 7 | 26 | 33—73 | 17 |

შენიშვნა: გამოტოვებული მატჩი „პამირსა" და „კუზბასს" შორის დამთავრდა „პამირის" გამარჯვებით — 3:1.

# ნორჩი ბათუმელები ჩემპიონები არიან

დასასრული

ლებინათ იაროსლაველ „შინიკთან" მატჩში. მასპინძლებს საკმაოდ გაუძნელდათ „შინიკის" წინააღმდეგობის დაძლევა, თუმცა მათ არაერთი საგოლე მომენტი შექმნეს მეტოქის კართან. გუნდმა მაინც მიაღწია საწადელს და გაიმარჯვა — 1:0. ეს გოლი 55-ე წუთზე ბოჩუამ გაიტანა შორიდან უძლიერესი დარტყმით.

მოსკოვის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდმა შეძლო „ფახთაქორის" დამარცხება ანგარიშით 3:1. მოსკოველები მალე დაწინაურდნენ ინიაკინისა და კოროლიოვის მიერ გატანილი ბურთებით. შემდგომში კამალოვმა შეამცირა განსხვავება ანგარიშში, მაგრამ კოროლიოვმა კვლავ აღადგინა ძალთა მანამდელი შეფარდება — 3:1. მინდვრიდან გააძევეს მოსკოველი სარქისიანი და ტაშკენტელი ბრაზგუპოვი.

ლენინგრადის „ზენიტისა" და მოსკოვის ოლქის „შრომითი რეზერვების" შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0.

10 ნოემბერს შედგა ჩემპიონატის დასკვნითი შეხვედრები. ბათუმელი ფეხბურთელები, უკვე სსრ კავშირის ჩემპიონთა რანგში, შეხვდნენ მოსკოვის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდს. მასპინძლები მე-10 წუთზე დააწინაურა დოლიძემ, მაგრამ მოსკოველებმა, რომლებსაც II ადგილზე გასვლის შანსი ჰქონდათ, თავგანწირვით იბრძოლეს, ორი გოლი გაიტანეს და გაიმარჯვეს — 2:1.

ლენინგრადელებმა მოუგეს „შინიკს" — 3:1, ხოლო მოსკოვის „შრომითი რეზერვების" გუნდმა „ფახთაქორს" სძლია — 2:0.

მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი დამთავრდა ბათუმის დინამოელთა ბრწყინვალე გამარჯვებით. მათ 8 ქულით I ადგილი დაიკავეს. მოსკოვის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდი გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა. 5-5 ქულა დააგროვეს მოსკოვის ოლქის „შრომითი რეზერვების" გუნდმა და ლენინგრადის „ზენიტმა." ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით III ადგილი მოსკოვის ოლქის წარმომადგენლებს ხვდათ.

მოეწყო გამარჯვებულთა დაჯილდოება. ჯილდოებს გადასცემდნენ ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ჯაში და საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს ბავშვთა განყოფილების გამგე ე. გრაჩოვი. ბათუმის „დინამომ" მიიღო საპატიო თასი, ფეხბურთელები დაჯილდოვდნენ მცირე ოქროს მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით. დაჯილდოვდნენ ჩემპიონთა მწვრთნელებიც გ. მჟავია და ლ. ვერულიძე.

ბათუმის „დინამოს" გადაეცა ყოველკვირეული დამატება „ფუტბოლ-ჰოკეის" პრიზი, როგორც გათამაშების ყველაზე ტექნიკურ გუნდს. ჟურნალ „ოგონიოკის" სპეციალური პრიზები გადაეცათ ბათუმელთა მეკარეს ი. მამინაიშვილს და თავდამსხმელს გ. ჩაზმავას. პრიზი მიიღო, აგრეთვე, ტურნირის საუკეთესო ბომბარდირმა გ. დოლიძემ. მასვე გადაეცა ჯილდო ყველაზე ლამაზად გატანილი გოლისთვის.

ო. მურვანიძე.

# ახალ სარბიელზე

რუსთავში, დოსააფის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ახალ ბაზაზე, ჩატარდა ოქტომბრის რევოლუციის 57-ე წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრება მოტობურთში. პირველ დღეს სარბიელზე გამოვიდნენ ქუთაისის „კოლხეთი" და თელავის „ალაზანი". ასპარეზობამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 1:1.

შემდეგ ქუთაისელი და თელაველი მოტობურთელებით დაკომპლექტდა ნაკრები, რომელიც საქართველოს ჩემპიონს — თბილისის „ივერიას" შეხვდა. თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო და მატჩიც მათი გამარჯვებით დამთავრდა — 6:1.

• • •

სურათზე: ქუთაისისა და თელავის გუნდების შეხვედრის მომენტი.

ა. კულენკოვის ფოტო.



# ნახევარფინალები

ფრუნზესა და გროზნოში გრძელდება „ა" კლასის II ლიგის ზონებში გამარჯვებული გუნდების ნახევარფინალური ტურნირები.

II ტურში გორის „დილამ" წააგო გროზნოს „თერეკთან" — 1:3. ნიკოლაევის „სუდოსტროიტელმა" ფრედ ითამაშა ქალაქ იანგიერის ამავე სახელწოდების გუნდთან — 1:1. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა გორკის „ვოლგისა" და კამჩატკის პეტროპავლოვსკის „ვულკანის" შეხვედრა.

შემდგომ ტურში „დილამ" მოუგო „ვულკანს" — 2:0, ხოლო „ვოლგამ" დაამარცხა „სუდოსტროიტელი" — 2:0.

ბათუმის დინამოელებმა ფრუნზეში წააგეს ლენინგრადის თანაკლუბელებთან — 1:2. ადგილობრივმა „ალგამ" მოუგო ყაზანის „რუბინს" — 3:1. ფრედ ითამაშეს ბლაგოვეშჩენსკის „ამურმა" და კრივოი როგის „კრივბასმა" — 1:1.

III ტურში ბათუმელებმა გამარჯვებას მიაღწიეს ყაზანის „რუბინთან" შეხვედრაში — 3:2. ლენინგრადელებმა წააგეს „ამურთან" — 1:2. „ალგამ" და „კრივბასმა" ფრედ დაამთავრეს მატჩი — 1:1.

3 ტურის შემდეგ გორელ ფეხბურთელებს 4 ქულა აქვთ, ბათუმელებს — 2.

# მწვრთნელები სემინარებზე მიემგზავრებიან

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მეორე მწვრთნელი ი. მოროზოვი, „ჩერნომორეცის" (ოდესა) და „დინამოს" (კიევი) უფროსი მწვრთნელები ა. ალესკეროვი და ვ. ლობანოვსკი მონაწილეობას მიიღებენ სემინარებში, გაეცნობიან სასწავლო-საწვრთნელ მუშაობას ჰოლანდიის მოწინავე კლუბებში „აიაქსსა" და „ფეიენოორდში". სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ნიკოლაევი დასავლეთ გერმანიაში გაფრინდა. იგი დაესწრება „ბაიერნისა" და „ბორუსიის" საწვრთნელ მეცადინეობებს.

ამავე დროს, საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს მწვრთნელი, მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული გ. სმირნოვი ერთ წელს ამეცადინებს ბანგლადეშის რესპუბლიკის გუნდს აზიის ფეხბურთელთა ტურნირისთვის. (საქტესი).

# 0:0

სოფია, 10 ნოემბერი. ბულგარეთისა და უნგრეთის ნაკრებმა გუნდებმა ფრედ დაამთავრეს ამხანაგური საერთაშორისო მატჩი — 0:0.

# მწვრთნელის თვალით

თბილისი. ლენინის სახელობის დარბაზი. 8 ნოემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 89:80 (39:35).

„დინამო“: მ. ქორქია (გუნდს შესძინა 28 ქულა), ჩიხლაძე (24), ბიჭიაშვილი (12), ბოლქვაძე (10), ქარაბაკი (8), ფიცხელაური (4), ძიძიგური (2), პულავსკი (1), საკანდელიძე.

„ჟალგირისი“: იურკშაიტისი (28), ლინკიავიჩუსი (12), პატკაუსკასი (12), შიდლაუსკასი (9), ვენზბერგასი (6), პოლიონისი (6), ჟუკაუსკასი (4), ჟუკაიტისი (3).

მსაჯები: მ. ბელიაევი (დონის როსტოვი), ი. პოზნიაკი (ყაზანი).

დუბლიორები—82:91 (41:49).

თბილისი. ლენინის სახელობის დარბაზი. 9 ნოემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 78:71 (36:40).

„დინამო“: მ. ქორქია (27), ბიჭიაშვილი (16), საკანდელიძე (14), ძიძიგური (8), ჩიხლაძე (6), ქარაბაკი (8), ფიცხელაური (2), პულავსკი (2), ბოლქვაძე.

„ჟალგირისი“: პატკაუსკასი (18), ჟუკაუსკასი (14), შიდლაუსკასი (14), იურკშაიტისი (11), ლინკიავიჩუსი (7), ვენზბერგასი (5), ჟუკაიტისი (2).

მსაჯები: მ. ბელიაევი, შ. გრიგორიევი (მოსკოვი).

დუბლიორები—84:86 (47:38).

„ჟალგირისის“ უფროსი მწვრთნელი ვიტაუტას ბიმბა ერთობ ემოციური კაცია. მატჩის მსვლელობაში იგი ძალიან ღელავს, განიცდის, ადგილს ვერ პოულობს, თამაშის შემდეგ კი წყნარდება და, შედეგის მიუხედავად, მუდამ საღად აზროვნებს.

— გქონდათ თუ არა თბილისში გამარჯვების იმედი? — ვკითხე მას მეორე მატჩის შემდეგ.

— უიმედოდ ჩემი მტერი იყოს! მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვა, ობიექტური მონაცემები „დინამოს“ უკეთესი აღმოაჩნდა.

არ გეგონოთ, თითქოს ობიექტურ მონაცემებში მწვრთნელი გულისხმობს იმას, რომ მატჩები თბილისში ჩატარდა და არა კაუნასში. თუმცა ამ ფაქტორმაც, რა თქმა უნდა, გარკვეული როლი შეასრულა. ბიმბამ, პირველ ყოვლისა, ობიექტურად შეაფასა ორივე გუნდის შესაძლებლობანი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თბილისელთა შემადგენლობა უფრო სტაბილურია, ვიდრე „ჟალგირისისა“.

— მე, მაგალითად, — თქვა მან, — თანამედროვე კალათბურთში წარმატება ვერ წარმომიდგენია ტანმაღალი მოთამაშეების, პირველ ყოვლისა, ცენტრალური თავდამსხმელების გარეშე. ჩვენ გვყავს ვენზბერგასი, რომელიც ყველაზე მეტად შეიძლება გამოდგეს ამ როლში. მაგრამ იგი აშკარად ვერ უმკლავდება ამოცანას.

მართლაც, ვენზბერგასმა თბილისის ორ მატჩში მხოლოდ 11 ქულა მოუტანა თავის კოლექტივს, თანაც, 8 ქულა „თამაშიდან აიღო“, ხოლო 3 — საჯარიმო სროლით. კაუნასელთა ლიდერმა ვერც ერთი მატჩი ბოლომდე ვერ ითამაშა. ყველასთვის ცხადია, რომ ცენტრალურ თავდამსხმელს უკეთესი მაჩვენებლები უნდა ჰქონდეს. ბიმბა ამაში სწორია.

— მაშ როგორღა წაართვით ქულა ცსკა-ს?

— ქულა ჩვენ კი არ მოვიგეთ, არმიელებმა თვითონ დაკარგეს.

ამ შეფასებაში ბიმბას შეიძლება არ დავეთანხმოთ. მართალია, ერთი გუნდის გამარჯვება ხშირად მეორე გუნდის სუსტი თამაშით არის გამოწვეული, მაგრამ ის მატჩი მთლიანად გუნდმა კი არ ჩაატარა სუსტად, არამედ მისმა ორმა უძლიერესმა მოთამაშემ ს. ბელოვმა და სალნიკოვმა. წინათ ჩემპიონის თამაშის ხარისხი თუ ხასიათი ერთ-ორ მოთამაშეზე როდი იყო დამოკიდებული. არმიელებს მუდამ ჰქონდათ დიდი არჩევანი შემადგენლობაში და სისუსტეების კომპენსაცია უმტკივნეულოდ ხდებოდა.

აი, სწორედ ამიტომ, ბიმბა შეიძლება მთლიანად ვერ აფასებდეს თავისი გუნდის გამარჯვების მნიშვნელობას.

საუბარი, რა თქმა უნდა, დინამოელთა თამაშსაც შეეხო. მწვრთნელის აზრით, თბილისის „დინამო“ შარშანდელთან შედარებით უკეთ თამაშობს, თანაც, სეზონის სტარტზე. მაგრამ „დინამოს“ წინაშე, ისევე როგორც „ჟალგირისის“ წინაშე, ადრე თუ გვიან მაინც დადგება ცენტრალური თავდამსხმელის პრობლემა.

— მაგრამ იცით, რაშია დღესდღეობით თქვენი უპირატესობა? — თქვა ბიმბამ. — იმაში, რომ მიხეილ ქორქიას სახით გყავთ ბრწყინვალე გარემარბი. მე ჯერ კიდევ არ მინახავს ბევრი სხვა გუნდის თამაში, მაგრამ არა მგონია, რომელიმე გარემარბი ქორქიაზე უკეთეს ფორმაში იყოს.

ბიმბას მოეწონა ჩიხლაძეც, ბიჭიაშვილიც, ქარაბაკიც. მან აღნიშნა, აგრეთვე, რომ ჯერჯერობით საუკეთესო ფორმაში არ არიან ძიძიგური, საკანდელიძე და პულავსკი.

— აი, როცა ისინი მთლიანად გამოავლენენ თავიანთს უნარს, მაშინ შესაძლებელი იქნება „დინამოს“ ნამდვილ ძალაზე ლაპარაკი.

— კი მაგრამ, პერსპექტივა არც თქვენს გუნდს აქვს ურიგო. ხომ გაქვთ შეტანილი განაცხადში პაულაუსკასის გვარი?

— პაულაუსკასი ჩვენი უკანასკნელი კოზირია და მას საგანგებო შემთხვევისთვის ვინახავთ.

საგანგებო შემთხვევაში მწვრთნელი თურმე ჩემპიონატის მიწურულს გულისხმობს. თუ გუნდი დადგება დაბალ ლიგაში გადასვლის საფრთხის წინაშე, აი, მაშინ გამოიყენებენ თავიანთს კოზირს. პაულაუსკასს განზრახული აქვს მონრეალის ოლიმპიადაში თამაში, ამიტომ მის ენერგიას საგანგებოდ უფრთხილდებიან.

ნ. გუგუშვილი.



## შედეგების ცხრილი

მდგომარეობა 12 ნოემბრისთვის

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 4 | 0 | 386—317 | 4 |
| „დინამო“ (თბ.) | 4 | 0 | 357—325 | 4 |
| ცსკა | 3 | 1 | 360—313 | 3 |
| „დინამო“ მ. | 2 | 0 | 187—140 | 2 |
| „კალევი“ | 2 | 0 | 193—150 | 2 |
| „ჟალგირისი“ | 1 | 3 | 306—331 | 1 |
| რტი | 0 | 2 | 174—190 | 0 |
| „სტროიტელი“ | 0 | 2 | 157—195 | 0 |
| „სტატიბა“ | 0 | 2 | 158—196 | 0 |
| „ურალმაში“ | 0 | 6 | 450—571 | 0 |

• • •

სურათზე: ზ. ქარაბაკი (ცენტრში) იცავს საკუთარ კალათს.
მ. ზარგარიანის ფოტო.

# მიხეილ ქორქია საუკეთესო სნაიპერია

## პატარა სტატისტიკა

საკავშირო ჩემპიონატის სტარტზე უკვე გათამაშდა 16 მატჩი. სულ ამ მატჩებში გატანილია 2726 ქულა, ანუ საშუალოდ ყოველ შეხვედრაში — 170. ეს ციფრები მოწმობს, რომ საბჭოთა კალათბურთში შესამჩნევად იმატა თავდამსხმელთა აქტიურობამ.

დღემდე ჩატარებული მატჩების მიხედვით, ყოველ კოლექტივს საშუალოდ „გატანილი“ და „მიღებული“ ქულების ასეთი სხვაობა აქვს: „სპარტაკი“ 96—79, „დინამო“ (თბილისი) 89—81, ცსკა 90—78, „დინამო“ (მოსკოვი) 93—70, „კალევი“ 95—75, „ჟალგირისი“ 76—82, რტი 87—95, „სტროიტელი“ 78—97, „სტატიბა“ 78—97, „ურალმაში“ 75—95.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, თავდასხმა ყველა კოლექტივში მეტნაკლებად აქტიურად თამაშობს, დაცვა კი ბევრ გუნდში მოისუსტებს, მათ შორის ისეთ მოწინავე კოლექტივშიც, როგორიც კიევის „სტროიტელია“.

თბილისის „დინამომ“ ჩემპიონატის სტარტის ოთხ მატჩში 10 მოთამაშე გამოიყვანა. თბილისელი თავდამსხმელების აქტიურობა გამოიხატება 357 ქულით, რომლებიც ცალკეულ მოთამაშეებს შორის ასეა განაწილებული: მ. ქორქია — 110, ჩიხლაძე — 46, ბიჭიაშვილი — 46, პულავსკი — 42, საკანდელიძე — 38, ბოლქვაძე — 31, ძიძიგური — 19, ქარაბაკი — 17, ფიცხელაური — 6, ნ. ქორქია — 2.

42-ე საკავშირო ჩემპიონატის სნაიპერთა შორის თბილისელ მიხეილ ქორქიას ჯერჯერობით საუკეთესო შედეგი აქვს (110 ქულა). ყოველ მატჩში თავის კოლექტივს მან საშუალოდ 27,5 ქულა მოუტანა.

ნ ახვლედიანი.

# „კალევი“ არ ზუმრობს

42-ე საკავშირო ჩემპიონატში ყველაზე მოგვიანებით სტარტი „კალევმა“ აიღო. იგი კალენდარულ მატჩებში ჩაება მაშინ, როცა გუნდების ერთ ნაწილს უკვე 4–4 შეხვედრა ჰქონდა ჩატარებული.

წლევანდელი „კალევი“ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ესტონელმა კალათბურთელებმა დიდხანს შეინახეს თავი ტანმაღალი ცენტრალური თავდამსხმელების გარეშე, ბოლოს კი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უნდა მიეწვიათ ისინი სხვა კლუბებიდან. ასე აღმოჩნდნენ გუნდში ტაშკენტელი რ. აბელიანოვი (205 სმ) და ფრუნზელი ა. მოროზოვი (201).

და აი, ტანმაღალ კალათბურთელთა წყალობით ესტონეთის საუკეთესო გუნდის თამაშმა სულ სხვა ელფერი მიიღო. თავისი ახალი შემადგენლობა „კალევმა“ პირველად სვერდლოვსკელებთან შეხვედრაში გამოსცადა. ორივე მატჩი ესტონელებმა მოიგეს, პირველი ანგარიშით 96:74 (44:32), მეორე — 97:76 (49:38).

„კალევს“ მუდამ ჰქონდა თანამედროვე კალათბურთისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისება. ახლა მას ტანმაღალი ცენტრალური თავდამსხმელებიც ჰყავს. სპეციალისტების აზრით, 42-ე ჩემპიონატში გუნდი საგრძნობლად გაიუმჯობესებს სატურნირო მდგომარეობას.

ც. ფცქიალაძე.

# ცვლილებები კალენდარში

საკავშირო ჩემპიონატის ნოემბრის კალენდარში მოხდა ცვლილებები. გთავაზობთ მატჩების ახალ გრაფიკს:

16-17. „სპარტაკი“ — „კალევი“, „დინამო“ (მოსკოვი) — რტი.

18-19. „დინამო“ (თბილისი) — ცსკა.

19-20. „ურალმაში“ — „სტროიტელი“.

20-21. „სტატიბა“ — რტი.

21-22. „სპარტაკი“ — „დინამო“ (მოსკოვი).

22-23. „ურალმაში“ — ცსკა.

23-24. „სტატიბა“ — „კალევი“, „ჟალგირისი“ — რტი.

26-27. „ჟალგირისი“ — „კალევი“.

28-29. „დინამო“ (მოსკოვი) — „სტატიბა“, „დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“.

# ჩოგბურთის კორტებზე

საფრანგეთის ღია ჩემპიონატი დახურული შენობებისთვის პარიზში 22 წლის ამერიკელი ჩოგბურთელის ბრაიან გოტფრიდის გამარჯვებით დასრულდა. გადამწყვეტ მატჩში მან გასჭირდა თანამემამულე ედი დიბსის შეუპოვარი წინააღმდეგობა — 6.3, 5:7, 8:6, 6:0. ნახევარფინალში გოტფრიდმა ცნობილ ამერიკელ ზანგ ჩოგბურთელს არტურ ეშს სძლია — 9:7, 6.4, 6.1.

ვაჟთა წყვილების თანრიგში გაიმარჯვეს მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლებმა ფრანსუა ჟოფრემ და პატრიკ დომინგესმა, რომლებმაც ფინალურ მატჩში გოტფრიდსა და მექსიკელ რაულ რამირესს აჯობეს — 7:5, 6:4.

დიდი ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო ტურნირმა უელსის დედაქალაქში — კარდიფის კორტებზე გამართულმა ტურნირმა ბევრ ცნობილ ოსტატს მოუყარა თავი. ვაჟთა ერთეულების თანრიგში პირველი იყო ინგლისელი მარკ კოქსი. ფინალში მან იუგოსლაველ ჟელკო ფრანულოვიჩს სძლია — 6:4, 1:6, 6:0.

ქალთა შორის ბადალი არ ჰყავდა ამერიკელ ჟული ჰელდმანს, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში გლინის კოულსს (დიდი ბრიტანეთი) აჯობა — 6:4, 6:2.

## მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 10 ნოემბერი. დღეს აქ შედგა „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის 31-ე ტირაჟი.

იღბლიანი ნომრები და სპორტის სახეობები:

„სპორტლოტო“ — 11 (ველოსპორტი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 32 (წყალში ხტომა), 33 (რეგბი), 42 (ძალოსნობა), 49 (შაში).

„სპორტლოტო-2“ — 4 (მთამსვლელობა), 8 (კრივი), 16 (ტანვარჯიში), 20 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 24 (თხილამურები), 30 (აფროსნობა).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## 14 ნოემბერს

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კლუბში ჩატარდება თბილისის ფიზკულტურული აქტივის სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა თემაზე: „სპორტი და ახალგაზრდობის თავისუფალი დრო“.

დასაწყისი 18 ს.

თბილისის სპორტის სასახლე

შაში. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). საერთაშორისო შაშში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი. 12-15 ნოემბერი. 12 ნოემბერს გაიმართება X ტური, 13-ში — გადადებული პარტიების დამთავრება, 14-ში — დასვენითი, XI ტური. დასაწყისი 16 ს. 15 ნოემბერს შედგება ტურნირის დახურვა. დასაწყისი 19 ს.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53 ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.